

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„2019 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილების მოთხოვნების შესრულება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსაზღვრა, რომელთა საერთო ჯამური ღირებულება 1,800,000 ლარს შეადგენს.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების მიღება დაგეგმილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრები - 1,800,000 ლარის ოდენობით ასახული იქნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს რესურსების გადანაწილებას სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

ვ) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის საფინანსო საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი



ედნარ ნატარიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

___ აგვისტო 2019 წელი

ქალაქი ბათუმი

2019 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №5 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მოწონებული იქნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2019 წლისათვის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების თანდართული ჩამონათვალი.
2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ მოწონებული პროექტების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაზე წარდგენა.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტი/მხარჯავი დაწესებულება/საბიუჯეტო ორგანიზაცია

ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი

(ლარი)

№	პროექტის დასახელება	ინფრასტრუქტურული პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე/სხვა პროექტის ღირებულება	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	1 583 591,57	1 251 230,00		
1.1	მაგნოლის ქუჩის პირველი შესახვევის N1-დან N7-მდე მონაკვეთის რეაბილიტაცია	239 234,24	239 234,00	09/2019-12/2019	
1.2	ანგისის I შესახვევის N76-ის მიმდებარედ კედლის მოწყობა	432 094,83	432 094,00	09/2019-12/2019	
1.3	გუდიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია	912 262,50	579 902,00	09/2019-05/2020	მრავალწლიანი პროექტი (2019-2020 წლები)
2	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	398 771,50	398 770,00		
2.1	მარკოზ აჭარელის ქ. #21-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა	196 546,80	196 546,00	09/2019-12/2019	
2.2	ნაჭყეების ქუჩის 83-ის მიმდებარედ სანიაღვრე სისტემის მოწყობა	202 224,70	202 224,00	09/2019-12/2019	
3	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	301 660,00	150 000,00		
3.1	თოდოგაურის დასახლებაში წყალსადენის ქსელის მოწყობა (II ეტაპი - 40 ოჯახის დამატებით)	301 660,00	150 000,00	09/2019-05/2020	მრავალწლიანი პროექტი (2019-2020 წლები)
	ჯამი	2 284 023,07	1 800 000,00		